



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ბარდაცვლილთა რიცხოვნობა
ბარდაცვალების მიზეზების მიხედვით
2020**

30.06.2021

www.geostat.ge



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.06.2021

გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების* მიხედვით, 2020 წელს

2020 წელს საქართველოში¹ 50 537 ადამიანი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზებს შორის ჭარბობს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, რომელზეც მოდის გარდაცვლილთა 43.8 პროცენტი, სიმსივნეები (16.0 პროცენტი) და სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები (7.9 პროცენტი).

2020 წელს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო კლასიფიკატორის მეათე ვერსიას (ICD-10) დაემატა გარდაცვალების ახალი მიზეზი, „U07.1 - ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19), რომელიც ლაბორატორიულად იდენტიფიცირებულია“. აღნიშნული მიზეზით, 2020 წელს საქართველოში 2 587 ადამიანი გარდაიცვალა, რაც ქვეყანაში გარდაცვალების შემთხვევების 5.1 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი №1

გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით

კლასი	გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასები*	2019	2020
I	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	775	753
II	სიმსივნეები	7 873	8 089
III	სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმის ჩათრევით გამოწვეული ზოგიერთი დარღვევა	426	322
IV	ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	994	1 011
V	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	82	76
VI	ნერვული სისტემის ავადმყოფობები	685	562
VII	თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	0	0
VIII	ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	0	0
IX	სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	21 449	22 126
X	სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	3 303	4 017

* ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის მეათე ვერსიის (ICD-10) მიხედვით.

¹ მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.06.2021

კლასი	გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასები*	2019	2020
XI	საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	1 517	1 465
XII	კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	14	20
XIII	ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	11	9
XIV	შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	692	431
XV	ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	14	19
XVI	პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	265	266
XVII	თანდაყოლილი ანომალიები (განვითარების მანკები), დეფორმაციები და ქრომოსომური დარღვევები	87	85
XVIII	კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	6 177	6 489
XIX	ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	2 295	2 210
XXII	სპეციალური დანიშნულების კოდები (U07.1 - ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19), ვირუსი ლაბორატორიულად იდენტიფიცირებულია)		2 587
სულ		46 659	50 537


ასაკთან მიმართებაში იცვლება გარდაცვალების მიზეზები ძირითადი კლასების მიხედვით. 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვებში ჭარბობს პერინატალურ პერიოდში აღმოცენებული დარღვევები. 5-39 წლის ასაკში ჭარბობს ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების სხვადასხვა შედეგები, რადგან აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისათვის შედარებით მაღალია უბედური შემთხვევების ალბათობა, ხოლო სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებითა და სიმსივნეებით გარდაცვალების შემთხვევები ყველაზე მეტად გავრცელებულია 40 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.06.2021

დიაგრამა №1

გარდაცვლილთა განაწილება (%) ასაკის და გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, 2020 წელს



შენიშვნა: "სხვა" მოიცავს ყველა ძირითადი კლასის ჯამს გარდა II, IX, XVI, XVII, XVIII და XIX კლასებისა

საკონტაქტო პირები:

შორენა წიკლაური, ტელ.: 236 72 10 (601);

E-mail: shtsiklauri@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 236 72 10 (020);

E-mail: mkavelashvili@geostat.ge